ხელშეკრულება № 13

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფელი კურსები

1 ოქტომბერი 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსების საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ზარნაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,EUROSTANDARD" წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კოსტავას სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) „შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ელ.სადენისა და მასთან დაკავშირებული მასალების (CPV: 44320000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 146,30(ასორმოცდაექვსი ლარი 30 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელი კურსები)

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსების საჯარო სკოლა	შპს. ,, EUROSTANDARD“
ს/კ 219634830	ს/კ 412685679
მის: ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელი კურსები	მის.: ქუთაისი. სულხან-საბას გამზ. N71
ტელ: 577 53 17 08	ტელ.: 593 376 676
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,, ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა LB18GE0121123825572000	საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,, საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE50BG00000000789043500
დირექტორი: თამარ ზარნაძე	დირექტორი: გიორგი კოსტავა
(ხელმოწერა) ბ.ა	(ხელმოწერა) ბ.ა

Giorgi Kostava

Digitally signed by Giorgi Kostava
DN: CN=Giorgi Kostava, SERIALNUMBER=60001000342, O=Citizen, C=GE
Reason: I am the author of this document
Location: your signing location here
Date: 2019-10-04 11:21:42
Foxit Reader Version: 9.6.0

დანართი N1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ელ სადენი პვს 2X2.5 00000162	მეტრი	30	1,55	46,50
2	როზეტი VERA2-ნი, გარე 000000007968	ცალი	12	4,30	51,60
3	საკაბელო არხი იატაკის 35,35	მეტრი	5	5,00	30,00
4	დამაგრძელებელი ძირი 3-ნი MULTI-LET000000017222	ცალი	1	4,00	4,00
5	დამაგრძელებელი 3-ნი 3 მეტრი MULTI-LET000000017223	ცალი	1	10,00	10,00
6	ელ.ჩანგალი კუთხის 16A EKF, 00000103	ცალი	2	2.10	4.20
სულ ღირებულება = ასორმოცდაექვსი ლარი 30 თეთრი=					146.30

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ
კურსების საჯარო სკოლის დირექტორი: / თამარ ზარნაძე /

შპს „ „ EUROSTANDARD"-ი ს დირექტორი: / გიორგი კოსტავა /

Giorgi Kostava

Digitally signed by Giorgi Kostava
DN: CN=Giorgi Kostava, SERIALNUMBER=60001000342, O=Citizen, C=GE
Reason: I am the author of this document
Location: your signing location here
Date: 2019-10-04 11:22:22
Foxit Reader Version: 9.6.0

მიღება - ჩაბარების

აქტი N

სოფელი კურსები ოქტომბერი 2019 წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შემსყიდველი სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსების საჯარო სკოლა მისი დირექტორის თამარ ზარნაძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ მომწოდებელი შპს ,, ,, EUROSTANDARD „ წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კოსტავას სახით, ვადგენთ მიღება - ჩაბარების აქტს მასზედ, რომ ამა წლის 1 ოქტომბრის N12 ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულების თანახმად შპს–მ ,, EUROSTANDARD" შეასრულა/მოაწოდა ელ.სადენისა და მასთან დაკავშირებული მასალების შეძენა, ხოლო სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსების საჯარო სკოლამ, ჩაიბარა ხელშეკრულების დანართ N 1 -ში აღნიშნული საქონელი/მომსახურეობა, რომლის საერთო ღირებულება ჯამში შეადგენს 146,30 (ასორმოცდაექვსი ლარი 30 თეთრი.) ლარს.

მიმწოდებელი:

შპს ,, EUROSTANDARD"
დირექტორი

Giorgi Kostava

Digitally signed by Giorgi Kostava
DN: CN=Giorgi Kostava, SERIALNUMBER=60001000342, O=Citizen, C=GE
Reason: I am the author of this document
Location: your signing location here
Date: 2019-10-04 11:22:48
Foxit Reader Version: 9.6.0

/ გ.კოსტავა /

შემსყიდველი:

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ
კურსების საჯარო სკოლის დირექტორი

---------- / თ.ზარნაძე /